დოპინგსაწინააღმდეგო კონვენცია

სტრასბურგი 16.09.1989

პრეამბულა

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ევროპის კულტურული კონვენციის სხვა მონაწილე ქვეყნები და ქვემოთ ხელმომწერი დანარჩენი სახელმწიფოები:

ითვალისწინებენ რა ევროპის საბჭოს მიზანს თავის წევრთა შორის ერთიანობის განსამტკიცებლად საერთო მემკვიდრეობის, იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და განხორციელებისათვის, ისევე როგორც მათი ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ხელშეწყობის მიზნით;

აცნობიერებენ რა სპორტის მნიშვნელოვან როლს ჯანმრთელობის დაცვის, სულიერი და ფიზიკური განათლების, საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში;

გამოხატავენ რა შეშფოთებას სპორტსმენების მიერ დოპინგის მზარდი გამოყენების გამო, რასაც უარყოფითიშედეგები ახლავს როგორც მონაწილეთა ჯანმრთელობის, ისე საერთოდ სპორტის მომავლისათვის;

შეგნებული აქვთ რა დოპინგის პრობლემის შედეგად არსებული უდიდესი რისკის ეთიკური პრინციპებისა და საგანმანათლებლო ფასეულობების მიმართ, რომლებსაც ითვალისწინებს ოლიმპიური ქარტია, იუნესკოს სპორტისა და ფიზიკური განათლების საერთაშორისო ქარტია და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (76) 41-ე რეზოლუცია ცნობილი ევროპული სპორტი ყველასათვის ქარტია-ს სახელწოდებით;

აცნობიერებენ რა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციათა მიერ შემუშავებულ დოპინგსაწინააღმდეგო დებულებებს, პოლიტიკასა და დეკლარაციებს;

დარწმუნებულნი არიან რომ, სამთავრობო და ნებაყოფლობითი სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა დამატებით ვალდებულებებს კისრულობენ სპორტში დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ, რათა უზრუნველყონ სპორტულ ღონისძიებებზე სპორცმენის სათანადო ქმედება სამართლიანი ასპარეზობით და მონაწილეთა ჯანმრთელობის დაცვა;

აღიარებენ რა, რომ აღნიშნული ორგანიზაციები და ხელმძღვანელი ორგანოები ყველა შესაბამის, დონეზე ერთობლივად უნდა თანამშრომლობდნენ დასახული მიზნების მისაღწევად;

ითვალისწინებენ რა ევროპის ქვეყნებში სპორტზე პასუხისმგებელ მინისტრთა კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციებს დოპინგის თემაზე, კერძოდ 1989 წელს რეიკიავიკში მე-6 კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუცია 1;

მხედველობაში იღებენ რა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ სპორცმენთა დოპინგის თემაზე მიღებულ (67)12 რეზოლუციას, რეკომენდაციას რ(78)8-დოპინგი სპორტში, რეკომენდაციას რ(84)19 ევროპის დოპინგსაწინააღმდეგო სპორტის ქარტია და რეკომენდაციას რ(88)12 სარბიელს მიღმა გაუფრთხილებლად დოპინგზე კონტროლის ჩასატარებლად;

ითვალისწინებენ რა დოპინგის თემაზე რეკომენდაცია 5-ს, რომელიც მიიღეს 1988 წელს მოსკოვში იუნესკოს-ს მიერ ორგანიზებულ სპორტისა და ფიზიკურ განათლების პასუხისმგებელ მინისტრთა და ხელმძღვანელ პირთა მე-2 საერთაშორისო კონფერენციაზე;

იღებენ რა გადაწყვეტილებას შემდგომი და ინტენსიური თანამშრომლობის დასამყარებლად სპორტში დოპინგის გამოყენების შემთხვევათა შემცირებისა და თანმიმდევრული აღმოფხვრისათვის, რაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი ეთიკური ფასეულობებისა და პრაქტიკული ღონისძიებების გატარებით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 – კონვენციის მიზანი

კონვენციის მონაწილენი მათი შესაბამისი კონსტიტუციური უფლებამოსილებების მიხედვით პასუხისმგებლობას კისრულობენ კონვენციით გათვალისწინებული დებულებების განსახორციელებლად აუცილებელი ღონისძიებების გატარებისათვის სპორტში დოპინგის შემთხვევათა შემცირებისა და თანმიმდევრული აღმოფხვრის მიზნით.

მუხლი 2 – კონვენციის განმარტება და მოქმედების სფერო

1. კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე;

ა. ტერმინი დოპინგი სპორტში გულისხმობს ორივე სქესის სპორტსმენთა მიერ დოპინგის ნივთიერებათა ფარმაკოლოგიური კლასების ან დოპინგის მეთოდების მიღებას ან გამოყენებას;
ბ. ტერმინი დოპინგის ნივთიერებათა ფარმაკოლოგიური კლასები ან დოპინგის მეთოდები გულისხმობს ქვემოთ მოცემული მე-2 პარაგრაფის საფუძველზე შესაბამისი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების მიერ აკრძალულ დოპინგის ნივთიერებათა კლასებს ან დოპინგის მეთოდებს, რომლებიც 11.1 ბ. მუხლის დებულებათა საფუძველზე მონიტორინგული ჯგუფის მიერ დამტკიცებულ სიაშია შეტანილი;
გ. ტერმინი სპორტსმენი – (ქალი ან კაცი) გულისხმობს იმ პირებს, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობენ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებში.

2. რამდენადაც დოპინგის ნივთიერებათა აკრძალული ფარმაკოლოგიური კლასების და დოპინგის მეთოდების სია მონიტორინგული ჯგუფის მიერ დღეისთვის დამტკიცებულია 11.1 ბ. მუხლის დებულებათა შესაბამისად ამ კონვენციასთან არსებული დანართი ძალაში არსებულად ჩაითვლება.

მუხლი 3 – შიდა კოორდინაცია

1. კონვენციის მონაწილენი კოორდინირებენ სამთავრობო დაწესებულებებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კურსსა და საქმიანობებს, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა.

2. კონვენციის მონაწილენი უზრუნველყოფენ ამ კონვენციის პრაქტიკულ განხორციელებას, განსაკუთრებით მე-7 მუხლში ჩამოყალიბებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და საჭიროებისამებრ უფლებამოსილებას მიანიჭებენ განსაზღვრულ სამთავრობო თუ არასამთავრობო სპორტულ ხელმძღვანელობას ან სპორტულ ორგანიზაციას ამ კონვენციის გარკვეული დებულებების შესასრულებლად.

მუხლი 4 – დოპინგის აკრძალული ნივთიერებებისა და მეთოდების გამოყენების შეზღუდვის ფარგლები

1. კონვენციის მონაწილეებმა უნდა მიიღონ საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული ზომები იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ სპორტში დოპინგის აკრძალული ნივთიერებებისა და მეთოდების, განსაკუთრებით ანაბოლიკური სტეროიდების გამოყენებას (ამ ნივთიერებათა მომარაგების კონტროლის, შენახვის, იმპორტის, განაწილებისა და გაყიდვის ჩათვლით).

2. ამ თვალსაზრისით კონვენციის მონაწილენი ან შეძლებისდაგვარად შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციები კრიტერიუმის სახით დააწესებენ საზოგადოებრივი სუბსიდიების გრანტს სპორტული ორგანიზაციებისთვის მათ მიერ დოპინგსაწინააღმდეგო დებულებების ეფექტური გახორციელების მიზნით.

3. გარდა ამისა, კონვენციის მონაწილენი:

ა) დაეხმარებიან თავიანთ სპორტულ ორგანიზაციებს დოპინგის კონტროლისა და ანალიზის დაფინანსებაში პირდაპირი სუბსიდიების თუ გრანტების სახით ან ასეთი ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი საერთო სუბსიდიების ან გრანტების განსაზღვრისას ჩამოაყალიბებენ აღნიშნული კონტროლისა და ანალიზისათვის საჭირო მთლიან ხარჯებს.
ბ) დოპინგში მხილებული სპორტსმენების მიმართ სანქციის მთელი პერიოდის განმავლობაში მიიღებენ სათანადო ზომებს, რათა საზოგადოებრივი ფონდებიდან მათთვის არ გამოიყოს ვარჯიშისთვის სუბსიდიები.
გ) ხელს შეუწყობენ და შეძლებისდაგვარად მხარს დაუჭერენ სპორტულ ორგანიზაციებს. შესაბამისი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე კონტროლის ჩატარებას შეჯიბრების პერიოდში ან სარბიელს მიღმა;
დ) ხელს შეუწყობენ და მხარს დაუჭერენ სპორტულ ორგანიზაციათა შორის მოლაპარაკებებისას ხელშეკრულების დადებაზე, რომლებიც ნებართვას აძლევენ მათ წევრებს ტესტირება გაიარონ სხვა ქვეყნებში სათანადოდ უფლებამოსილი დოპინგკონტროლის სპეციალისტთა მეშვეობით.

4. ორგანიზაციები უფლებამოსილებას იტოვებენ დოპინგსაწინააღმდეგო დებულებების მიღებაზე და დოპინგკონტროლის ჩატარებაზე საკუთარი ინიციატივით და მათი საკუთარი პასუხისმგებლობით იმ პირობით, თუ ეს პროცესი კონვენციით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად ხორციელდება.

მუხლი 5 – ლაბორატორიები

1. კონვენციის ყოველი მონაწილე იღებს პასუხისმგებლობას შემდეგზე:

ა. დააფუძნოს ან ხელი შეუწყოს თავის ტერიტორიაზე ერთი ან მეტი დოპინგკონტროლის ლაბორატორიის გახსნას, რომელიც სათანადო აკრედიტაციისთვის წარდგება შესაბამისი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე და დამტკიცდება მონიტორინგული ჯგუფის მიერ 11.1 ბ. მუხლით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.
ბ. დაეხმაროს თავის სპორტულ ორგანიზაციებს მეორე მხარის ტერიტორიაზე არსებულ ასეთ ლაბორატორიაში დაშვებაზე.

2. აღნიშნული ლაბორატორიები:

ა. გაატარებენ საჭირო ღონისძიებებს კვალიფიკაციური საშტატო პერსონალის დასაქმების, მზადებისა და სტაჟირებისთვის;
ბ. შეიმუშავებენ და განახორციელებენ შესაბამის სამეცნიერო კვლევით პროგრამებს გამოყენებული ან მომავალში გამოსაყენებელი დოპინგის ნივთიერებებისა თუ მეთოდების სპორტში დოპინგის შემთვევების დასაფიქსირებლად, ასევე განიხილავენ ანალიტიკური ბიოქიმიისა და ფარმაკოლოგიის საკითხებს, რათა უკეთესად გაცნობიერდეს სხვადასხვა ნივთიერებათა ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე და შესაბამისად მის სპორტულ შრომისუნარიანობაზე.
გ) გამოსცეს და სწრაფად გააგრცელოს ახალი მონაცემები ასეთ კვლევით საქმიანობაზე.

მუხლი 6 – განათლება

1. კონვენციის მონაწილენი ვალდებულებას იღებენ შესაბამის სპორტულ ფედერაციებთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებასთან თანამშრომლობით შეძლებისდაგვარად ჩამოაყალიბონ და

განახორციელონ საგანმანათლებლო პროგრამები და საინფორმაციო კამპანიები, რომლებიც უმთავრეს ყურადღებას გაამახვილებენ დოპინგის ძირითად საფრთხეზე, რაც ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას და არღვევს სპოროტის ეთიკურ პრინციპებს. ასეთი პროგრამები და კამპანიები გამიზნული იქნება როგორც სკოლის და სპორტული კლუბების ახალგაზრდა თაობისა და მათი მშობლებისათვის, ისე მოზრდილი სპორტსმენების, სპორტის ხელმძღვანელებისა თუ მწვრთნელებისთვის. მედიცინის სფეროში დასაქმებული პირებისათვის ასეთი საგანმანათლებლო პროგრამები განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებენ სამედიცინო ეთიკის დაცვაზე.

2. კონვენციის მონაწილენი თანხმდებიან მხარი დაუჭირონ და ხელი შეუწყონ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობებს შესაბამის რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო სპროტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სამეცნიერო ხასიათის ისეთი ფიზიოლოგიურ-ფსიგოლოიგიური საწვრთნელი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით, რომლებიც იცავენ ადამიანის უფლებებს.

მუხლი 7 – სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მათ მიერ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

1. კონვენციის მონაწილენი თანხმდებიან მხარი დაუჭირონ თავიანთ სპორტულ ორგანიზაციებს, მათი მეშვეობით კი საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებს, რათა მათი კომპეტენციის ფარგლებში მოხდეს არსებული ყველა სათანადო ზომების ფორმულირება და გატარება სპორტში დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ.

2. ამ მიზნით მათ დახმარება უნდა გაუწიონ თავიანთ სპორტულ ორგანიზაციებს მათზე დაკისრებული შესაბამისი უფლებების, ვალდებულებების და მოვალეობების განსაზღვრისა და შეჯერებისათვის, კერძოდ:

ა) დოპინგსაწინააღმდეგო დებულებების მიღებას, რომლებსაც საფუძვლად უდევს შესაბამისი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების დებულებები;
ბ) დოპინგის ნივთიერებათა აკრძალული ფარმაკოლოგიური კლასების ნუსხას და აკრძალულ მეთოდებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს შესაბამისი საერთაშორისო სპორტული ფედერაციების სიები;
გ) დოპინგკონტროლის პროცედურებს;
დ) ზოგადი სამართლის საერთაშორისო პრინციპებზე დაფუძნებული დისციპლინარული პროცედურების და დოპინგის გამოყენებაზე ეჭვმიტანილი სპორტსმენების ფუნდამენტალური უფლებების დაცვის უზრუნველყოფას;

ეს პრინციპები ითვალისწინებენ შემდეგ პირობებს:

** მაკონტროლებელი და დისციპლინარული ორგანოები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლები უნდა იყვნენ;*
*** დადანაშაულებული პირებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლიანი მოსმენა და მათი დახმარება ან წარმომადგენლობა;*
**** ნებისმიერი განაჩენის წინააღმდეგ აპელაცია უნდა განხორციელდეს თავისუფალი და ძალდაუტანებელი პირობეის საფუძველზე;*

ე) ოფიციალური პირების, ექიმების, ვეტერინარების, მწვრთნელების, ფიზიოტერაპევტების და სხვა სპეციალისტებისა თუ მათი თანამოაზრეების მიმართ გატარებულ საჯარიმო პროცედურებს, რომლებიც ეფუძნება სპორტსმენთა მიერ დოპინგსაწინააღმდეგო დებულებების დარღვევას.
ვ) სხვა სპორტული ორგანიზაციების მიერ იმავე ან სხვა ქვეყნებში დაკისრებული ჯარიმების ურთიერთ აღიარების პროცედურები;

3. ამასთან კონვენციის მონაწილენი თავიანთ სპორტულ ორგანიზაციებს ეხმარებიან შემდეგ საქმიანობებში:

ა) აქტიური ხასიათი მიანიჭონ დოპინგკონტროლის ჩატარებას არა მხოლოდ შეჯიბრებებზე, არამედ წინასწარ გაუფრთხილებლად სარბიელს მიღმაც, რაც უნდა მოხდეს ყველა სპორტსმენისთვის თანასწორუფლებიან პირობებში ზოგჯერ წინასწარ განუსაზღვრელად შერჩეულ პირთა პირველადი თუ ხელმეორე ტესტირების გათვალისწინებით;
ბ) მოლაპარაკებები აწარმოონ სხვა ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებებზე სხვა სახელმწიფოში საკარჯიშოდ მყოფ სპორტსმენთა ამ ქვეყანაში სათანადოდ უფლებამოსილი დოპინგკონტროლის ჯგუფის მიერ ტესტირების ნებართვაზე;
გ) განმარტონ და შეათანხმონ დებულებები სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებამოსილებაზე, რომელიც ითვალისწინებს დოპინგსაწინააღმდეგო კრიტერიუმებს;
დ) ხელი შეუწყონ სპორტსმენთა აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციათა დოპინგსაწინააღმდეგო სამუშაოებში;
ე) სრულად და ეფექტურად გამოიყენონ მე-5 მუხლით გათვალისწინებული ლაბორატორიებში არსებული დოპინგის ანალიზის ხელსაწყოები სპორტული შეჯიბრების პერიოდში ან მის გარეთ ჩასატარებელი ტესტირებისთვის;
ვ) შეისწავლონ მეცნიერული მზადების მეთოდები და შეიმუშაონ სახელმძღვანელო პრინციპები ყველა ასაკის სპორტსმენთა დასაცავად სპორტის ნებისმიერ სახეობაში.

მუხლი 8 – საერთაშორისო თანამშრომლობა

1. კონვენციის მონაწილენი აქტიურად ითანამშრომლებენ ერთმანეთთან ამ კონვენციით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე და ხელს შეუწყობენ ანალოგიურ თანამშრომლობას მათ სპორტულ ორგანიზაციათა შორის.

2. კონვენციის მონაწილენი თანხმდებიან:

ა) დაეხმარონ სპორტულ ორგანიზაციებს იმ სახის ფუნქციონირებაში, რომელიც საფუძვლად დაედება აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული პირობების წარმატებით განხორციელებას მათი გაწევრიანების მიხედვით ყველა შესაბამისი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის ფარგლებში ე.ი. მსოფლიო და რეგიონალური რეკორდების რატიფიკაცია მოხდება მხოლოდ შესაბამისად უფლებამოსილი უარყოფითი დოპინგკონტროლის მოხსენების თანხლებით.
ბ) მხარი დაუჭირონ მე-5 მუხლის შესაბამისად უკვე დაფუძნებული ან მოქმედი დოპინგკონტროლის ლაბორატორიების პერსონალს შორის თანამშრომლობას; და
გ) ინიციატივით გამოვიდნენ შესაბამის სააგენტოებს, ხელმძღვანელობასა და ორგანიზაციებს შორის ორმხრივი თუ მრავალმხრივი საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის დასამყარებლად, რაც ამავე დროს მიზნად ისახავს 4.1 მუხლში ჩამოყალიბებული დებულებების განხორციელებას.

3. კონვენციის მონაწილენი, რომლებსაც უკვე გააჩნიათ ლაბორატორიები ან მოქმედებენ მე-5 მუხლის დებულებების თანახმად, კისრულობენ დაეხმარონ სხვა მხარეებს საკუთარი ლაბორატორიების შესაქმნელად აუცილებელი გამოცდილების, დახელოვნებისა და ტექნიკური ცოდნის მიღებაში.

მუხლი 9 – ინფორმაციით უზრუნველყოფა

კონვენციის ყოველი მონაწილე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე მომზადებულ შესაბამის ინფორმაციას მიაწოდებს მის მიერ ამ კონვენციის პირობების დასაკმაყოფილებლად გატარებული საკანონმდებლო თუ სხვა ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 10 – მონიტორინგული ჯგუფი

1. ამ კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე ფუძნდება მონიტორინგული ჯგუფი.

2. მონიტორინგულ ჯგუფში კონვენციის ნებისმიერი მონაწილე შეიძლება იყოს წარმომადგენელი ერთი ან მეტი დელეგატის სახით. კონვენციის ყოველ მონაწილეს ერთი ხმის უფლება გააჩნია.

3. 14.1 მუხლში მოხსენიებული ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ამ კონვენციაში არ შედის დასაშვებია დამკვირვებლის სახით იყოს წარმოდგენილი მონიტორინგულ ჯგუფში.

4. მონიტორინგულ ჯგუფს ერთსულოვანი გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილება ენიჭება დამკვირვებლის სახით ერთ ან მეტ სხდომაში მონაწილეობისათვის მოიწვიოს ევროპის საბჭოში გაუწევრიანებელი ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ შედის ამ კონვენციაში და ამავე დროს ნებისმიერი სპორტული ან სხვა შესაბამისი პროფესიონალური ორგანიზაცია.

5. მონიტორინგული ჯგუფი იკრიბება გენერალური მდივნის მიერ. პირველი სხდომა ჩატარდება უახლოესი შესაძლებლობებისთანავე და ნებიმიერ შემთხვევაში ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში. სხდომები შესაბამისად ჩატარდება გენერალური მდივნის ან კონვენციის მონაწილის ინიციატივით ყოველი აუცილებლობის შემთხვევაში.

6. მონიტორინგული ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია კონვენციის მონაწილე უმრავლესობის ქვორუმის შემთვევაში.

7. მონიტორინგული ჯგუფი ცალკე იკრიბება.

8. ამ კონვენციის დებულებების თანახმად მონიტორინგული ჯგუფი შეიმუშავებს და კონსენსუსით მიიღებს პროცედურათა საკუთარ წესებს.

მუხლი 11

1. მონიტორინგული ჯგუფი აკონტროლებს ამ კონვენციის განხორციელებას, კერძოდ:

ა) პერიოდულად ამოწმებს კონვენციის დებულებებს და განიხილავს ნებისმიერი ცვლილების შეტანის საჭიროებას;
ბ) ამტკიცებს სიას და ნებისმიერ მის ცვლილებას შესაბამისი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის მიერ აკრძალულ დოპინგის ნივთიერებათა ფარმაკოლოგიურ კლასებთან და დოპინგის მეთოდებთან დაკავშირებით 2.1. და 2.2. მუხლების მიხედვით, ამავე დროს იღებს ლაბორატორიათა აკრედიტაციის კრიტერიუმს, აღნიშნული ორგანიზაციების მიერ ნებისმიერი მასთან მიმართებულ ცვლილებას 5.1 ა მუხლის შესაბამისად და განსაზღვრავს მიღებულ გადაწყვეტილებათა ძალაში შესვლის ფიქსირებულ თარიღს;
გ) ატარებს კონსულტაციებს შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებთან;
დ) აწვდის რეკომენდაციებს კონვენციის მონაწილეებს ამ კონვენციის მიზნებთან მიმართებაში გასატარებელ ღონისძიებებზე;
ე) უწევს რეკომენდაციას სათანადო ღონისძიებებს შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოების ინფორმაციისთვის ამ კონვენციის ფარგლებში გატარებული საქმიანობების შესახებ;
ვ) აძლევს რეკომენდაციებს მინისტრთა კომიტეტს ევროპის საბჭოს არა წევრი ქვეყნების კონვენციაში გაერთიანებასთან დაკავშირებით;
ზ) სთავაზობს ნებისმიერ წინადადებას კონვენციის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

2. მონიტორინგულ ჯგუფს მისი ფუნქციების შესრულების მიზნით უფლებამოსილება ენიჭება საკუთარი ინიციატივით ჩაატაროს ექსპერტთა ჯგუფების სხდომები.

მუხლი 12

ყოველი სხდომის შემდეგ მონიტორინგული ჯგუფი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მოხსენებას წარუდგენს მის მიერ ჩატარებული სამუშაოსა და კონვენციის ფუნქციონირების შესახებ.

მუხლი 13 – კონვენციის მუხლებში ცვლილებების შეტანა

1. კონვენციის მუხლებში ცვლილებათა შესატანად წინადადება შემოაქვს რომელიმე მონაწილე მხარეს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ან მონიტორინგულ ჯგუფს.

2. ნებისმიერი ასეთი წინადადება გენერალური მდივნის მიერ წარედგინება ევროპის საბჭოს მე-14 მუხლში აღნიშნულ წევრ ქვეყნებს და ყველა იმ სახელმწიფოს, რომელიც გაერთიანდა ან რომელსაც ეთხოვა კონვენციაში გაწევრიანება მე-16 მუხლის დებულებების შესაბამისად.

3. მონაწილე მხარის ან მინისტრთა კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ცვლილება მონიტორინგულ ჯგუფს წარედგინება მინიმუმ 2 თვით ადრე იმ სხდომის მოწვევამდე, რომელზედაც უნდა მოხდეს მისი მიღება. მონიტორინგული ჯგუფი შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებთან კონსულტაციის შედეგად ასეთ ცვლილებაზე თავის მოსაზრებას მიაწოდებს მინისტრთა კომიტეტს.

4. მინისტრთა კომიტეტი გაითვალისწინებს წარმოდგენილ შესწორებას, ისევე როგორც მონიტორინგული ჯგუფის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და შესაძლოა დაამტკიცოს ეს ცვლილება.

5. მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული ნებისმიერი ცვლილების ტექსტი ამ მუხლის მე-4 პარაგრაფის მიხედვით დასამტკიცებლად გადაეცემათ კონვენციის მონაწილეებს.

6. ამ მუხლის მე-4 პარაგრაფის მიხედვით მიღებული ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის მომდევნო თვის პირველივე რიცხვში ერთი თვის ვადის გასვლიდან, ყველა მხარის მიერ ამ ცვლილების მიღების გენერალური მდივნის წინაშე დადასტურების შემდეგ.

დასკვნითი დებულებები

მუხლი 14

1. ამ კონვენციაზე ხელის მოსაწერად უფლებამოსილნი არიან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ევროპის კულტურის კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყნები და ის არაწევრი სახელმწიფოები, რომლებიც მონაწილეობდნენ კონვენციის შემუშავებაში და შეუძლიათ თავიანთი თანხმობა გამოხატონ:

ა) ხელმოწერით რატიფიკაციის, მიღების, ან დამტკიცების უფლებამოსილების გარეშე;
ბ) ხელმოწერით, რომელიც ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას და რომელსაც მოსდევს რატიფიკაცია, აღიარება ან დამტკიცება.

2. რატიფიკაციასთან, აღიარებასთან ან დამტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები თანხმდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 15

1. კონვენცია ძალაში შედის ხუთი წევრის და მათ შორის ევროპის საბჭოს მინიმუმ 4 წევრის მიერ მე-14 მუხლის დებულებების საფუძველზე კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების აღიარებიდან მომდევნო თვის პირველივე რიცხვში ერთი თვის გასვლიდან.

2. ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც თანახმაა იკისროს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები დოკუმენტი ძალაში შედის მომდევნო თვის პირველივე რიცხვში ერთი თვის ვადის გასვლიდან, როდესაც ხელი მოეწერა ამ კონვენციას ან ამ უკანასკნელით განსაზღვრულ პირობებს რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ.

მუხლი 16

1. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი კონვენციის მონაწილეებთან კონსულტაციის შედეგად უფლებამოსილია კონვენციაში გასაერთიანებლად მოიწვიოს ნებისმიერი არა წევრი ქვეყანა, რის შესახებაც ევროპის საბჭოს წესდების მე-20 დ მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილებას იღებს უმრავლესობა კომიტეტის უფლებამოსილი საკონტაქტო სახელმწიფოთა წარმომადგენლების ერთსულოვანი მხარდაჭერით.

2. კონვენციაში ახლად გაერთიანებულ ნებისმიერ სახელმწიფოსთან მიმართებაში დოკუმენტი ძალაში შედის მომდევნო თვის პირველივე რიცხვში ერთი თვის გასვლიდან მას შემდეგ, რაც ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა გასცა განკარგულება კონვენციაში ამ ქვეყნის გაერთიანებაზე.

მუხლი 17

1. დოკუმენტის ხელმოწერისას ან რატიფიკაციასთან, აღიარებასთან თუ დამტკიცებასთან დაკავშირებით უფლებამოსილების განსაზღვრისას ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელზეც გავრცელდება აღნიშნული კონვენცია.

2. გენერალური მდივნის სახელზე შედგენილი დეკლარაციის საფუძველზე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მოგვიანებით გაავრცელოს ამ კონვენციის მოქმედების უფლებამოსილება დეკლარაციაში განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთ ტერიტორიასთან მიმართებაში კონვენცია ძალში შედის გენერალური მდივნის მიერ აღნიშნული დეკლარაციის მიღებიდან ერთი თვის გასვლიდან პირველივე დღეს.

3. ზემოთ აღნიშნული ორი პარაგრაფის საფუძველზე შედგენილი ნებისმიერი დეკლარაცია მასში განსაზღვრულ რომელიმე ტერიტორიასთან მიმართებაში, შესაძლებელია უარყოფილ იქნას გენერალური მდივნის სახელზე მომზადებული შეტყობინების საფუძველზე. ასეთი გადაწყვეტილება მოქმედებაშია გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან 6 თვის შემდეგ პირველივე დღეს.

მუხლი 18

1. ნებისმიერი კონვენციის მონაწილე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე შედგენილი ოფიციალური შეტყობინების საფუძველზე.

2. ასეთი დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან მომდევნო თვის პირველივე რიცხვში 6 თვის შემდეგ.

მუხლი 19

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი კონვენციის მონაწილეებს, ისევე როგორც ევროპის საბჭოს სხვა წევრ სახელმწიფოებს, ევროპის კულტურის კონვენციის მონაწილე წევრ ქვეყნებს, ამ კონვენციის შემუშავებაში მონაწილე არა წევრ სახელმწიფოებსა და მასში გაერთიანებულ ან გასაწევრიანებლად მოწვეულ სახელმწიფოს მიაწოდებს ინფორმაციას შემდეგზე:

მე-14 მუხლის თანახმად არსებულ ხელმოწერაზე;

მე-14 ან 16 მუხლების თანახმად განსაზღვრულ ნებისმიერი სახის რატიფიკაციის, აღიარებისა თუ კონვენციაში გაერთიანებასთან დაკავშირებულ საკითხზე

ა) მე-15 და 16 მუხლების თანახმად ამ კონვენციის მოქმედებაში შესვლის ნებისმიერ თარიღზე;

ბ) მე-9 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებაზე;
გ) მე-12 მუხლის დებულებების თანახმად მომზადებულ ნებისმიერ მოხსენებაზე;
დ) მე-13 მუხლის საფუძველზე მიღებულ ნებისმიერ წინადადებაზე ცვლილების შესატანად ან ასეთ ცვლილებაზე და მისი მოქმედების თარიღზე;
ე) მე-17 მუხლით შედგენილ ნებისმიერ დეკლარაციაზე;
ვ) მე-18 მუხლით გათვალისწინებულ რაიმე შეტყობინებაზე და დენონსაციის მოქმედების თარიღზე;
ზ) ამ კონვენციასთან დაკავშირებით არსებულ სხვა სახის რომელიმე აქტზე, შეტყობინებასა თუ კომუნიკაციაზე.

ზემოაღნიშნულის დასამოწმებლად ქვემოთ მითითებული პიროვნება მის მიერ სათანადო უფლებამოსილების საფუძველზე ხელს აწერს ამ კონვენციას.

ტექსტი მომზადებულია სტრასბურგში 1989 წლის 16 ნოემბერს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ერთ ეგზემპლიარად. ორივე ტექსტი autentიკურია და გადაეცემა ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადაუგზავნის ყოველ წევრ სახელმწიფოს, ევროპის კულტურის კონვენციის სხვა წევრ ქვეყნებს, ამ კონვენციის შემუშავებაში მონაწილე არა წევრ სახელმწიფოებს და მასში გასაერთიანებლად მოწვეულ ნებისმიერ ქვეყანას.

დანართი

დოპინგის აგენტების აკრძალული ფარმაკოლოგიური კლასების სია და დოპინგ მეთოდები

(დანართი ძალაშია 1999 წლის 15 მარტიდან, ცვლილებები შეტანილია 1990 წლის 1 სექტემბერს, 1992 წლის 24 იანვარს, 1993 წლის 1 აგვისტოს, 1996 წლის 1 ივლისს, 1997 წლის 1 ივლისს და 1998 წლის 1 მარტს).

I. ნივთიერებათა აკრძალული კლასები

ა. სტიმულატორები
ბ. ნარკოტიკები
გ. ანაბოლიკური აგენტები
დ. შარდმდენები
ე. პეპტიდური ჰორმონები, მიმიკრიული ნივთიერებები და მათი ანალოგები.

II. აკრძალული მეთოდები

ა. სისხლის დოპინგი
ბ. ფარმაკოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური მანიპულაცია.

III. გარკვეული შეზღუდვის მედიკამენტთა კლასები

ა. ალკოჰოლი
ბ. კანაბინოიდები
გ. ადგილობრივი ანესთეზიის საშუალებები
დ. კორტიკოსტეროიდები
ე. ბეტა ბლოკერები

I. ნივთიერებათა აკრძალული კლასები

ა. სტიმულატორები

ბ. ნარკოტიკები
დ. ანაბოლიკური აგენტები
დ. შარდმდენები
ე. პეპტიდური ჰორმონები, მიმიკრიული ნივთიერებები და მათი ანალოგები.

აკრძალული კლასების რიცხვში ნივთიერების მიღება მაშინაც კი დაუშვებელია, თუ ის არ არის ნიმუშის სახით სიაში აღნიშნული. ამ მიზნით შემოღებულია ტერმინი და მსგავსი ნივთიერებები, რომელიც ითვალისწინებს თავიანთი ფარმაკოლოგიური მოქმედებით და/ან ქიმიური შემადგენლობით ამ კლასისადმი განკუთვნილ მედიკამენტებს.

ა. სტიმულატორები

ა კლასში გაერთიანებული აკრძალული ნივთიერებები ითვალისწინებენ შემდეგ ნიმუშებს:

ამინეპტინი, ამიფენაზოლი, ამფიტამინი, ბრომანტანი, კოფეინი*, კარფედონი, კოკაინი, ეფედრინი**, ფენკამფამინი, მესოკარბი, პენტეტრაზოლი, პიპრადოლი, სალბუტამოლი, სალმეტეროლი***, ტერბუტალინი***, ... და მსგავსი ნივთიერებები.***

** კოფეინთან მიმართებაში დადებითად სინჯი მიიჩნევა, თუ შარდში კოფეინის კონცენტრაცია აღემატება ყოველ მილილიტრზე 12 მიკროგრამს.*

*** ეფედრინთან, კათინთან და მეთილეფედრინთან მიმართებაში დადებითად სინჯი მიიჩნევა, თუ შარდში მათი კონცენტრაცია აღემატება ყოველ მილილიტრზე 5 მიკროგრამს. ფენილპროპანოლამინის და ფსევდოეფედრინის შემთხვევაში სინჯი დადებითია, თუ შარდში კონცენტრაცია ეღემატება ყოველ მილილიტრზე 10 მიკროგრამს.*
აღნიშნული კლასის ერთზე მეტი ნივთიერების არსებობის შემთხვევაში კონცენტრაციები უნდა შეჯამდეს და თუ შედეგად რაოდენობა ყოველ მილილიტრზე 10 მიკროგრამს აღემატება სინჯი დადებითად მიიჩნევა.

**** სალბუტამოლის, სალმეტეროლის და ტერბუტალინის მიღება ნებადართულია რესპირატორული სახით მხოლოდ ასთმის და გადატვირთული ვარჯიშის შედეგად შეძენილი ასთმის თავიდან ასაცილებლად და/ან სამკურნალოდ. ასთმის და/ან გადატვირთული ვარჯიშის შედეგად შეძენილი ასთმის შესახებ შესაბამისი სპეციალისტის ან გუნდის ექიმის მიერ წერილობითი შეტყობინება უნდა წარედგინოს სათანადო სამედიცინო ხელმძღვანელობას.*

<u>შენიშვნა:</u> *იმიდაზოლის ყველა პრეპარატი მისაღებია უშუალოდ ადგილობრივი გამოყენებისთვის მაგ. ოქსიმეტაზოლინი.*
ვასალური შეზღუდვის (ვასოცონსტრიქტორს) პრეპარატები, (როგორიცაა მაგალითად ადრენალინი) შესაძლოა გამოიყენებოდეს ადგილობრივ ანესთეზიურ აგენტებთან ერთად. ნებადართულია ფენილეფრინის ადგილობრივი პრეპარატებიც (როგორიცაა სუნთქვითი, ოფტალმოლოგიური).

ბ. ნარკოტიკები

ბ კლასის აკრძალული ნივთიერებები ითვალისწინებენ შემდეგ ნიმუშებს:
ბუპრენორფინი, დექსტრომორამიდი, დიამორფინი(ჰეროინი), მეტადონი, მორფინი, პენტაზოცინი, პეტიდინი და მსგავსი ნივთიერებები.

<u>შენიშვნა:</u> *ნებადართულია – კოდეინი, დექსტრომეტორფანი, დექსტროპროპოქსიფენი, დიჰიდროკოდეინი, დიფენოქსილატი, ეთილმორფინი, ფოლკოდინი, პროპოქსიპინი და ტრამადოლი.*

გ. ანაბოლიკური აგენტები

გ კლასის აკრძალული ნივთიერებები შემდეგ ნიმუშებს ითვალისწინებს:

1. <u>ანაბოლიკური ანდროგენული სტეროიდები</u>

ა. კლოსტებოლი, ფლუოქსიმესტერონი, მეტანდიენონი, მეტენოლონი, ნანდროლონი, 19-ნორანდროსტენედიოლი, 19-ნორანდროსტენედიონი, ოქსანდროლონი, სტანოზოლოლი, . . . და მსგავსი ნივთიერებები.

ბ. ანდროსტენედიოლი, ანდროსტენედიონი, დეჰიდროეპიანდროსტერონი, (DHEA), დიჰიდროტესტოსტერონი, ტესტოსტერონი*, . . . და მსგავსი ნივთიერებები. მეტაბოლიკური პროფილით და/ან იზოტოპური პროპორციის გამოთვლით მიღებული შედეგი შესაძლებელია გამოიყენებოდეს განსაზღვრული დასკვნების მისაღებად.

* შარდის ანალიზში ტესტოსტერონის (T) ეპიტესტოსტერონთან (E) პროპორციის 6-ის 1-თან შეფარდებაზე. მაღალი რაოდენობის აღმოჩენისას სპორტსმენი ასპარეზობიდან მოხსნას ექვემდებარება. თუ არ იქნება იმის დამადასტურებელი ფაქტი, რომ ეს პროპორცია ფიზიოლოგიური ან პათოლოგიური მდგომარეობის შედეგია, მაგ. ეპიტესტოსტერონის დაბალი გამოყოფა, სიმსივნის გამომწვევი ანდროგენი, ფერმენტთა უკმარისობა.
T/E პროპორციის 6-ზე მეტი რაოდენობის შემთხვევაში სინჯის დადებითად გამოცხადებამდე აუცილებელია სპეციალური გამოკვლევის ჩატარება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების მიერ. სრული წერილობითი მოხსენება უნდა მოიცავდეს წინა ტექსტების მიმოხილვას, შესაბამის ტექსტებს და ენდოკრინის გამოკვლევათა ნებისმიერ შედეგს. აღნიშნული წინა ტექსტების უქონლობის შემთხვევაში სპორტსმენი უნდა შემოწმდეს გაუფრთხილებლად სამი თვის განმავლობაში ყოველ თვეში მინიმუმ ერთხელ მაინც. ასეთი გამოკვლევების შედეგები შეტანილი უნდა იყოს მოხსენებაში. შემოწმების პროცესში თანამშრომლობის დამყარების წარუმატებლობა გამოიწვევს სინჯის დადებითად გამოცხადებას.

2. ბეტა-2 აგონისტები

ინექციით ან მედიკამენტის სახით მიღებისას:
ბამბუტეროლი, კლენბუტეროლი, ფენოტეროლი, ფორმოტეროლი, რეპროტეროლი, სალბუტამოლი*, ტერბუტალინი*, . . . და სმგავსი ნივთიერებები.

* ნებადართულია ინჰალაციით Iა. მუხლში აღწერილი პროცესის შესაბამისად.

დ. შარდმდენები

დ კლასში შემავალი აკრძალული ნივთიერებები მოიცავს შემდეგ ნიმუშებს:
აქეტალოზამიდი, ბუმეტადინი, ქლორთალიდონი, ეთაკრინიული მჟავა, ფუროსემიდი, ჰიდროქლოროთიაზიდი, მანიტოლი*, მერსალილი, სპირონოლა-ქტონი, ტრიამტერენი და მსგავსი ნივთიერებები.

* აკრძალულია ვენითი ინექცია.

ე. პეპტიდური ჰორმონები, მიმიკრიული ნაერთები და მათი ანალოგიური

ე კლასის აკრძალული ნივთიერებები ითვალისწინებს შემდეგ ნიმუშებს და მათ ანალოგებს, ისევე როგორც მიმიკრიულ ნაერთებს:

1. **ქორიონიკული გონადოტროფინი (hCG);**
2. **გიპოფიზური და სინთეტიური გონადოტროფინები (LH);**
3. **კორტიკოტროფინები (ACTH, და ტეტრაკოსაქტიდი);**
4. **მზარდი ჰორმონები (hGH);**

5. ინსულინის მსგავსი ზრდის ფაქტორი (IGF-1) *და ყველა სესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები და მათი ანალოგები;*
6. ერითროპოიეტინი (EPO);
7. ინსულინი;

ნებადართულია მხოლოდ ინსულინზე დამოკიდებული დიაბეტის სამკურნალოდ. ამისათვის აუცილებელია ენდოკრინოლოგის ან გუნდის ექიმის წერილობითი შეტყობინება ინსულინზე დამოკიდებულ დიაბეტთან დაკავშირებით.

შარდის ანალიზში ენდოგენური ჰორმონების ან მისი დიაგნოსტიკური აღმნიშვნელების არათანაბარი კონცენტრაციის აღმოჩენა სპორტსმენის შეჯიბრებიდან მოხსნას იწვევს იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ამის დამადასტურებელი ფიზიოლოგიური ან პათოლოგიური მიზეზი.

II. აკრძალული მეთოდები

აკრძალულია შემდეგი პროცედურები:

ა. სისხლის დოპინგი
სისხლის დოპინგი ითვალისწინებს ***სისხლის, მისი წითელი ქსოვილების, ხელოვნური ჟანგბადის მატარებლების და მსგავსი სისხლის პროდუქტების*** *გამოყენებას სპორტსმენის მიერ.*

ბ. ფარმაკოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური მანიპულაცია
ფარმაცევტული, ქიმიური და ფიზიკური მანიპულაციის გამოყენება ნიშნავს ისეთი ნივთიერებებისა და მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ცვლიან ან შესაძლოა შეცვალონ დოპინგკონტროლის პერიოდში გამოყენებულ სინჯთა შემადგენლობა და ქმედითუნარიანობა. ეს მანიპულაციები ითვალისწინებენ შეუზღუდავად შარდმდენების, კათეტერიზაციის, სინჯის შეცვლის პროცესს და/ან თირკმლის მოქმედების შეფერხებას ისეთი საშუალებით, როგორიცაა ***პრობენეციდი*** *და მსგავსი კომპონენტები. ამავე დროს აღნიშნული მანიპულაციები მოიცავს ტესტოსტერონის და ეპიტესტოსტერონის მაჩვენებლების ცვლილებებს ისეთი საშუალებებით, როგორიცაა* ***ეპიტესტოსტერონი**** *ან* ***ბრომანტანის*** *მიღება.*
** შარდში ეპიტესტოსტერონის კონცენტრაციის 200 ნანოგრამზე მეტი რაოდენობა ერთ მილილიტრზე ექვემდებარება ტესტოსტერონზე შემოწმებას* ***I*****ბ.1ბ.** *პუნქტის შესაბამისად.*
არსებითი მნიშვნელობა აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის წარმატებულ ან წარუმატებელ გამოყენებას კი არ ექცევა, არამედ იმას, რომ აღნიშნული ნივთიერების ან პროცედურის გამოყენება უკვე მიიჩნევა როგორც დარღვევა.

III. გარკვეული შეზღუდვების მქონე მედიკამენტთა კლასები

ა. ალკოჰოლი
პასუხისმგებელი ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების საფუძველზე შემოწმებები ჩატარდება ეთანოლზე.

ბ. კანაბინოიდები
პასუხისმგებელი ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად ტესტები ჩატარდება კანაბინოიდებზე (მაგ. არიხუანა, ჰაშიში).
კანაბინოიდებზე ტესტები ჩატარდება ოლიმპიურ თამაშებზეც.
აკრძალულია შარდში 11-არა-დელტა 9-ტეტრაჰიდროკანაბინოლის-9-კარბოქსილური მჟავის (carboxy-THC)- ყოველ მილილიტრზე 15-ზე მეტი ნანოგრამის კონცენტრაცია.

გ. ადგილობრივი ანესთეზიური საშუალებები
ადგილობრივი ანესთეზიის საინექციო საშუალებები ნებადართულია შემდეგი პირობების შესაბამისად:

ა. შესაძლებელია ბუპივაკაინის, ლიდოკაინის, მეპივაკაინის, პროკაინის და სხვათა, მაგრამ არა კოკაინის გამოყენება. ვასალური შემზღუდველები (მაგ. ადრენალინი) შესაძლოა გამოიყენებოდეს ადგილობრივ ანესთეზიურ საშუალებებთან ერთად.
ბ. ნებადართულია მხოლოდ ადგილობრივი ან შიდა სისხლძარღვოვანი ინექციების გამოყენება.
გ. მხოლოდ სამედიცინო აუცილებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებელი ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების საფუძველზე შესაძლოა აუცილებელი გახდეს ინფორმირება მათ მიღებაზე.

დ. კორტიკოსტეროიდები
კორტიკოსტეროიდების სისტემური მიღება აკრძალულია.

ნებადართულია ანალური, სმენითი, დერმატოლოგიური, ინჰალაციური, სუნთქვითი და ოფთალმოლოგიური მიღება (მაგრამ არა სწორი ნაწლავისმიერი). ასევე ნებადართულია კორტიკოსტეროიდების შიდა სისხლძარღვოვანი და ადგილობრივი ინექციები. შესაბამისი ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების მიხედვით შესაძლოა აუცილებელი გახდეს ინფორმირება მათ მიღებაზე.

ე. ბეტა-ბლოკერები
ბეტა-ბლოკერების ზოგიერთი ნიმუში:
აცებუტოლოლი, ალპრენოლოლი, ათენოლოლი, ლაბეტალოლი, მეტოპრო-ლოლი, ნადოლოლი, ოქსპრენოლოლი, პროპრანოლოლი, სოტალოლი, ...და სხვა მსგავსი ნივთიერებები.

საერთაშორისო სპორტული ფედერაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად შემოწმებები ჩატარდება ბეტა-ბლოკერებზე.

სოკ-ის დებულება იმ მედიკამენტებზე, რომლებიც საჭიროებენ ექიმის წერილობით ინფორმირებას

ნივთიერებები	აკრძალვა ნებადართულია ინფორმირების საფუძველზე	ნებადართულია ინფორმირების გარეშე
შერჩეული ბეტა-ავონისტები*	-საყლაპავი სისტემით -სისტემური ინექციით	-ინჰალაციით
კორტიკოსტეროიდები	-სწორ-ნაწლავური სისტემით -სისტემური ინექციით -სწორ-ნაწლავური	-სწორ-ნაწლავური, დერმატოლოგიური, ინჰალაციური, სუნთქვითი და ოფტალმოლოგიური -ადგილობრივი და სისხლძარღვოვანი ინექციები***
ადგილობრივი ანესთეზიები**	სისტემური ინექციები	-ადგილობრივი და შიდა სისხლძარღვოვანი ინექციები***

* სალბუტამოლი, სალმეტეროლი, ტერბუტალინი; ყველა სხვა ბეტა-ავონისტები აკრძალულია.
** კოკაინის გარდა, რომელიც აკრძალულია.

*** აუცილებელია წერილობითი ინფორმირება, თუ ამის შესახებ არსებობს პასუხისმგებელი ორგანიზაციის წესი.

შარდის კონცენტრაციათა ანოტაციური ნორმები, რომლის გადაჭარბებისას სოკ-ის აკრედიტებული ლაბორატორიები ვალდებულნი არიან ინფორმაცია გააკეთონ სპეციფიური ნივთიერებების აღმოჩენაზე:

კოფეინი	>12 მიკროგრამი / მილილიტრზე
კარბოქსი	>15 ნანოგრამი / მილილიტრზე
კათინი	>5 მიკროგრამი / მილილიტრზე
ეფედრინი	>5 მიკროგრამი / მილილიტრზე
ეპიტესტოსტერონი	>200 ნანოგრამი/ / მილილიტრზე
მეთილეფედრინი	>5 მიკროგრამი / მილილირტზე
მორფინი	>1 მიკროგრამი / მილილირტზე
ფენილპროპანოლამინი	>10 მიკროგრამი / მილილიტრზე
ფსევდოეფედრინი	>10 მიკროგრამი / მილილირტზე
თ/ პროპორცია	>6

აკრძალულ ნივთიერებათა ნიმუშების სია
გაფრთხილება: აღნიშნული სია ამომწურავი არ არის, რადგან სხვა მსგავსი ნივთიერებების ტერმინის ქვეშ გაერთიანებული კლასები მრავალ დანარჩენ აკრძალულ ნივთიერებებსაც ითვალისწინებენ.

ყველა სპორტსმენს დაჟინებით ვურჩევთ მიიღონ მხოლოდ მათი საკუთარი ექიმის მიერ გამოწერილი მედიკამენტები და გადაამოწმონ, რომ ისინი შეიცავენ მხოლოდ სოკ-ის სამედიცინო კომისიის ან პასუხისმგებელი ორგანიზაციის მიერ ნებადართულ მედიკამენტებს.

სპორტსმენის მიმართ დოპინგის შემოწმების გავლის თხოვნისას წინა 7 დღის განმავლობაში მიღებული ყველა მედიკამენტი და წამალი დეკლარირებული უნდა იყოს დოპინგ კონტროლის ოფიციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში.

სტიმულატორები:
ამინეფტინი, ამფეპრამონი, ამიფენაზოლი, ამფიტამინი, ბამბუტეროლი, ბრომანტანი, კოფეინი, კარფედონი, კათინი, კოკაინი, კროპროპამიდი, კროტეთამიდი, ეფედრინი, ეტამივანი, ეთილამფიტამინი, ეთილეფრინი, ფენკამფამინი, ფენეტილინი, ფენფლურამინი, ფორმოტეროლი, ჰეფტამინოლი, მეფენორექსი, მეფენტერმინი, მესოკარბი, მეთამფეტამინი, მეთოქსიპენამინი, მეთილენდიოქსიამფიტამინი, მეთილეფედრინი, მეთილფენიდატი, ნიკეთამიდი, ნორფენფლურამინი, პარაჰიდროქსიამფიტამინი, ფემოლინი, პენტეტრაზოლი, ფენდიმეტრაზინი, ფენტერმინი, ფენილეფრინი, ფენილპროპანოლამინი, ფოლედრინი, პიპრადოლი, პროლინტანი, პროპილჰექსედრინი, ფსევდოეფედრინი, რეპროტეროლი, სალბუტამოლი, სალმეტეროლი, სელეგილინი, სტრიქნინი, ტერბუტალინი.

ნარკოტიკები:
ბუპრენორფინი, დექსტრომორამიდი, დიამორფინი(ჰეროინი), ჰიდროკოდონი, მეტადონი, მორფინი, პენტაზოცინი, პეთიდინი.

ანაბოლური აგენტები:
ანდროსტენედიოლი, ანდროსტენედიონი, ბამბუტეროლი, ბოლდენონი, კლენბუტეროლი, კლოსტებოლი, დანაზოლი, დიჰიდროქლორმეთილტესტოსტერონი, დიჰიდროეპიანდროსტერონი (DHEA), დიჰიდროტესტოსტერონი, დროსტანოლონი, ფენოტეროლი, ფლუოქსიმესტერონი, ფორმებოლონი, ფორმოტეროლი, გესტრინონი, მესტეროლონი, მეტანდიენონი, მეთენოლონი, მეთანდროილი, მეთილტესტოსტერონი, მიბოლერონი, ნანდროლონი, 19-ნორანდროსტენედიოლი, 19-ნორანდროსტენედიონი,

ნორეთანდროლონი, ოქსანდროლონი, ოქსიმესტერონი, ოქსიმეთოლონი, რეპროტეროლი, ბ სალბუტამოლი, სალმეტეროლი, სტანოზოლოლი, ტერბუტალინი, ტესტოსტერონი, ტრენბოლონი.

შარდმდენები:
აცეტაზოლამიდი, ბენდროფლუმეთიაზიდი, ბუმეტადინი, ცანრენონი, ქლორტალიდონი, ეთაკრინიული მჟავა, ფუროსემიდი, ჰიდროქლოროთიაზიდი, ინდაპამიდი, მანიტოლი, მერსალილი, სპირონოლაქტონი, ტრიამტერინი.

ფარული აგენტები:
ბრომანტანი, შარდმდენები(იხ. ზემოთ), ეპიტესტოსტერონი, პრობენეციდი.

პეპტიდური ჰორმონები, მიმიკრიული და ანალოგიური ნაერთები:
ACTH, ერითროპროიეთინი (EPO), hCG, hGH, ინსულინი, L.

ბეტა–ბლოკერები:
აცებუტოლოლი, ალპრენოლოლი, ათენოლოლი, ბეტაქსოლოლი, ბისოპროლოლი, ბუნოლოლი, ლაბეტალოლი, მეტოპროლოლი, ნადოდოლი, ოქსპრენოლოლი, პროპანოლოლი, სოტალოლი.